კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 3 ИЮНЯ 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 142 (19584) ◆ ხუთშაბათი, 19 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



ხურათზე: გაერთიანებული სხდომის პრეზიდიუმში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ყურადღების ცენტრშია ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირეული გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების მასშტაბური ამოცანები. იგი გაიხსნა 18 ივნისს მოსკოში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

საქმიანი განწყობილება, დიდი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფერო, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში სუფევს, სადაც შეიკრიბნენ ხალხის რჩეულნი, განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომელთა მიზანია სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაცია.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ნ. ხლოფუნოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, მ. ვ. ზიმიანინს, ა. ნ. იაკოვლევს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **ლ. ნ. ტოლკუნოვმა.**

ერთხმად მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. სესიის განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. ცვლილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.
2. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სესია იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს დეპუტატ **ი. კ. ლიგაჩოვს.** მან თქვა:

ნება მიბოძეთ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აგრეთვე კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების დავალებით თქვენს განსახილველად შემოვიტანო წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ. ისინი მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

ამხანაგმა ვ. ვ. კუზნეცოვმა ითხოვა გაათავისუფლონ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რეკომენდაციას იძლევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე ავირჩიოთ ამხანაგი პ. ნ. დემიჩევი.

ამხანაგი პ. ნ. დემიჩევი დიდი ხანია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაშია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრია. მანამდე იგი მუშაობდა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ერთი სიტყვით, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს. მას ახასიათებს პასუხისმგებლური დამოკიდებულება საქმისადმი, თავმდაბლობა, სხვა პირადი თვისებები, რომლებიც საჭიროა ახალ პოსტზე წარმატებული მუშაობისათვის.

შემოგვაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეების მოვალეობისაგან გავათავისუფლოთ დეპუტატები ი. ე. პოლიაკოვი, კ. ა. ხალილოვი, ბ. ე. სარქისოვი პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით და ი. პ. კალინი — მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად ბელორუსიის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და სომხეთისაგან, ამ რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოები წინადადებას აყენებენ ავირჩიოთ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები: ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — დეპუტატი გ. ს. ტარაზევიჩი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — დეპუტატი ს. ბ. ტატლიევი, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — დეპუტატი ა. ა. მოკანუ, სომხეთის სს რესპუბლიკისა — დეპუტატი გ. მ. ვოსკანიანი.

ჩვენ უნდა განვიხილოთ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრის საკითხი. დეპუტატი ლ. ნ. ზაიკოვი, როგორც ცნობილია, არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნისას. ახლა იგი არის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. შემოგვაქვს წინადადება ამხანაგი ლ. ნ. ზაიკოვი გავათავისუფლოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ მან მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობის შესრულებას.

წინადადებაა აგრეთვე პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გავათავისუფლოთ დეპუტატი ვ. ვ. გრიშინი პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

შემოგვაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ავირჩიოთ დეპუტატი ბ. ნ. ელცინი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, და დეპუტატი ი. ფ. სოლოვიოვი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ერთხმად აირჩიეს დეპუტატი პ. ნ. დემიჩევი. ამავე დროს იგი გაათავისუფლეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან.

განიხილეს აგრეთვე სხვა წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატები ი. ე. პოლიაკოვი, კ. ა. ხალილოვი, ი. პ. კალინი, ბ. ე. სარქისოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა მოვალეობისაგან, დეპუტატები ლ. ნ. ზაიკოვი და ვ. ვ. გრიშინი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად ერთხმად აირჩიეს დეპუტატები გ. ს. ტარაზევიჩი, ს. ბ. ტატლიევი, ა. ა. მოკანუ, გ. მ. ვოსკანიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩიეს დეპუტატები ბ. ნ. ელცინი და ი. ფ. სოლოვიოვი.

შემდეგ მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ გაკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ი. რიჟკოვმა.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების პირველი გაერთიანებული სხდომა დამთავრდა.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

14 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ბ. ნ. ელცინს, ნ. ნ. ხლოფუნოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა შეტანის საკითხი, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში.

იმსჯელეს სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხის შესახებ.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

17 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის წინასწარი განხილვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობის დამთავრების შესახებ. პალატების მუდმივი კომისიების დავალებით ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ა. მასლომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა შეტანის საკითხი, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში.

იმსჯელეს სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხის შესახებ.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების სხდომა

17 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის საკითხები.

ამ საკითხებზე ინფორმაციით გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ვოსი და კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ნ. ტოლკუნოვი.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

17 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. განიხილეს კომისიის ამოცანები პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დარგში.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა. მან დამსწრეთ აცნობა, თუ რა მუშაობა გასწია კომისიამ ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდში. ძირითადი ყურადღება დაეთმო მუშაობის გარდაქმნას, მისი ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას, კომისიის საქმიანობის გააქტიურებას.

სხდომის მონაწილეებმა თქვეს, რომ მთელი სარევიზიო მუშაობა უნდა ექვემდებარებოდეს პარტიის შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას, კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას. უნდა გაუმჯობესდეს სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების სწავლების ორგანიზაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ გააშუქონ კომისიების საქმიანობა და მათი მუშაობის გამოცდილება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის დებულება და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების დებულება, რომელიც ახლახან დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, შეესაბამება პარტიის ცხოვრების თანამედროვე ეტაპს. ისინი უფრო სრულად განსაზღვრავენ სარევიზიო კომისიების უფლება-მოვალეობებს და ამით მათი მუშაობის გაუმჯობესების კარგ შესაძლებლობებს ქმნიან.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და გააქტიურების ღონისძიებანი.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიისა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებში

საქართველოს კომპარტიისა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა მიიღეს დადგენილება ამიერკავკასიის რკინიგზაზე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დასაჩქარებლად ბელორუსიის რკინიგზის პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილების დანერგვის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის მაგისტრალის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაციები გარკვეულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მშრომელთა კოლექტივების დასარაზმავად, რათა გაზარდონ რკინიგზის ხაზების, სადგურებისა და კვანძების გამშვებუნარიანობა და გამტარუნარიანობა, დააჩქარონ ვაგონების ბრუნვა, დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

ამასთანავე რკინიგზაზე გადაზიდვა-გადაყვანის პროცესის ეფექტიანობის გაზრდის საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲓ

საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სამოქმედო სახელმძღვანელოდ აღიქვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მითითებანი და დასკვნები. რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის ყოველი მშრომელი ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, რომელიც სასკკპ XXVIII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ენერგიულ ფაზად გულით აღიქვეს და პარტიის ორგანოებთან, თავ. კომუნისტებთან ერთად ეკვეთნენ ამ ამოცანების ... ყოველთაო-ხალხური სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის დასაბოლოო წარმატებით შესრულებისათვის, ჩანაფიქრთა ენერგია გადაქციონ პრაქტიკული მოქმედების ენერგიად.

უკეთ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲬᲘᲜᲐᲗ

თარებაში, მივანიჭოთ მას მეტი დინამიზმი, გავაძლიეროთ წარმოების ზრდის ტემპი. წინა პლანზეა წამოწეული შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რესურსების დაზოგვა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

საწარმომ, რომელშიც მე ვმუშაობ, ხუთ თვეში 372 ათასი ტონა ქვანახშირი გამოუშვა, 110,2 პროცენტით შესრულდა საკოქსე კონცენტრატის დამზადება რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის, არ დაგვირღვევია სახელშეკრულებო დისციპლინა. გეგმის გადაჭარბებით, ვალდებულებით გათვალისწინებული 3100 ტონის ნაცვლად, მომხმარებელს 12378 ტონა მაღალი ხარისხის ნედლეული მივაწოდეთ. 9,6 პროცენტით გაიზარდა დავალებასთან შედარებით შრომის ნაყოფიერებაც.

მიმართვაში ნათქვამია, რომ მთავარი საკითხია შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამ მიმართულებით ცოტას როდი ვაკეთებთ. საწარმოს ახალ კორპუსში დაიდგა ახალი ლენტური ვაკუუმ-ფილტრი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შუალედური პროდუქციის გამოშვება. ტექნიკური წყლის გასაწმენდად დამონტაჟდა ახალი აგრეგატი, რითაც საგრძნობლად შემცირდა ქვანახშირისა და წყლის დანაკარგები. მიმდინარეობს დიდი მწარმოებლობის დამლექი მანქანის დამონტაჟება. ეს 15-20 პროცენტით გაზრდის ფაბრიკის გამტარუნარიანობას და ხელს შეუწყობს საკოქსე კონცენტრატის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, განხორციელდება სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

პარტიის მოწოდების შესრულებისათვის გავასამკეცებთ ენერგიას, უთუოდ შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს,

გ. აბესაძე,
ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის უფროსი.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ

„ჩვენს წინაშე მწვავედ დგას ამოცანა უზრუნველვყოთ მემცენარეობის პროდუქციის, „უწინარეს ყოვლისა მარცვლეულისა და საკვები კულტურების წარმოების სტაბილურობა“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების ეს სიტყვები უაღრესად ზუსტად განსაზღვრავს სოფლის მშრომელთა ძირითად საზრუნავს.

ჩვენი ფერმა მთაშია, ძაგრამ ამას მეურნეობისათვის სულაც არ შეუშლია ხელი მოემარაგებინა საკვები. საძოვრებად ავითვისეთ უმარჯვი მიწები, წინასწარ გავწმინდეთ ისინი ქვებისა და სარეველებისაგან. ახლა ვზრდით ოინჯისა და ესპარცეტის ფართობს. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვამედოვნებდეთ, რომ შევასრულებთ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს — წელს ყოველ ძროხაზე მივიღებთ სულ ცოტა 2.500 კილოგრამ რძეს.

მ. ხუციურაული,
ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

დეპუტატ ვ. ვ. კუზნეცოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს დეპუტატ ვასილ ვასილის ძე **კუზნეცოვის** თხოვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 18 ივნისი.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დეპუტატ პ. ნ. დემიჩევის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი პეტრე ნილის ძე **დემიჩევი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 18 ივნისი.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ამხ. პ. ნ. დემიჩევის სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. პეტრე ნილის ძე **დემიჩევი** სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 18 ივნისი.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ — ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ

საწარმოთა და ორგანიზაციათა პრაქტიკული საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად არ ხმარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. საკმარისია არ ინერგება თანამედროვე ტექნოლოგია და მოწინავე გამოცდილება, დაბალია ეკონომიკური მუშაობის დონე. ნელა კლებულობს ხელის შრომის წილი. სრულად არ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება გადაზიდვაზე, ჯერ კიდევ დაბალია მოძრავი შემადგენლობის რემონტის ხარისხი, მოძრაობის უსაფრთხოება, მგზავრთა მომსახურების კულტურა.

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს არ მიუღწევიათ შრომისა და საწარმოო დისციპლინის მნიშვნელოვანი განმტკიცებისათვის, სუსტად წარმოებს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში გვარიანად არის ფორმალიზმი, არ წარმოებს ჯეროვანი ბრძოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომჭირნე, ეკონომიური ხარჯვისათვის. ყოველივე ამის შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზამ ვერ მიაღწია მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დაგეგმილი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს.

დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიისა და სომხეთის კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმარისად არ აკონტროლებენ რკინიგზის ტრანსპორტის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას, ყოველთვის არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას შრომის ნაყოფიერე-

(დასასრული მე-3 გვ.).

СССР კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება

1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა

СССР კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება

СССР კავშირის მინისტრთა საბჭოს СССР კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შემოაქვს მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის პროექტი. იგი შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით. პროექტში ასახულია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებანი, СССР კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

ყრილობის მიერ დასახული ღრმად დასაბუთებული, ჰუმანიტარულ-რეალისტური ამოცანები, მის მიერ შექმნილი შემოქმედებისა და ალმშენებლობის ატმოსფერო სულ უფრო მზარდ ნაყოფიერ გავლენას ახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ისინი მთლიანად შეესაბამებიან ხალხის ინტერესებს, პოვეს მისი ერთსულოვანი მოწოდება და მხარდაჭერა. მთავარი, რასაც დღეს პარტია გვისახავს მიზნად, — ის არის, რომ მთელი ძალ-ღონე მოვუმართოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა სრულ და უთუო შესრულებას, ჩანაფიქრთა ენერგია გადავაქციოთ მოქმედების ენერგიად.

სესიის წინ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ვრცლად და საფუძვლიანად არის გაანალიზებული პარტიისა და სახელმწიფოს მიმდინარე ღრმა გარდაქმნა, ნაჩვენებია საბჭოთა საზოგადოების ყრილობისშემდგომი განვითარების ობიექტური სურათი, საგარეო-პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში. კომუნისტთა, ყველა მშრომელის მუშაობის ცენტრში დასმულია ამოცანა — ზორცი შევასხათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ XXVII ყრილობის გენერალურ კურსს, ავამოქმედოთ ქვეყნის მთელი პოტენციალი. ამ კურსის პრაქტიკული რეალიზაციის პოზიციიდან პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა ხუთწლიანი გეგმის პროექტი და მოიწონა იგი.

ვითვალისწინებთ რა იმას, თუ რა განსაკუთრებული ადგილი უკავია ხუთწლიან პარტიის საპროგრამო მიზნების განხორციელებაში, წამოვაყენეთ ახალი, დიდმნიშვნელოვანი დებულებანი, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მისი ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციისათვის. პლენუმმა გაიარჩია დიდი ეფექტიანობის მიღწევის გზების ძიება, ხაზი გაუსვა, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს გეგმა მასების შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის განვითარებაში. სწორედ გეგმების საფუძველზე ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მიღიოთნთა ენერგია ერთ ნაკადად ერთიანდება, რომლის მიზანია უახლოესი და ხანგრძლივი ამოცანების მიღწევა. სწორედ გეგმები გვაძლევენ თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული დარგის, თითოეული რესპუბლიკის განვითარების მკაფიო და მყარ პერსპექტივას.

გეგმის პროექტის მომზადების პროცესში საწარმოებსა და გაერთიანებებში, სამინისტროებსა და უწყებებში, მოკავშირე რესპუბლიკებში განხორციელდა დიდი მუშაობა, რათა გამოვეკლინებინათ დამატებითი შესაძლებლობანი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისა და ეფექტიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. ყურადღებით შევისწავლეთ პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა წინადადებები და შენიშვნები, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და ძირითადი მიმართულებების პროექტების ყრილობისწინა განხილვის მასალები. გეგმის საფუძვლიანი, მომთხოვნელი და დაინტერესებული განხილვა გაიმართა უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში. ყოველივე ამან მას პარტიისა და ხალხის კოლექტიური გონების, გამოცდილების ძალა შემატა, გეგმიანი მართვის საბჭოთა სისტემის მზარდი დემოკრატიზმის მკაფიო გამოვლინება გახდა.

შეეხო რა ხუთწლიდის საკვანძო საკითხებს, ნ. ი. რიჟკოვმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ შემუშავებულ, პარტიის XXVII ყრილობის მიერ გამდიდრებული და მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება მეთორმეტე ხუთწლიდს. მან უნდა დაძლიოს ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც შეიქმნა სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების დამდეგს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, უზრუნველყოს რეალური გარდატეხა ეკონომიკის ყველა დარგსა და საქმიანობის სფეროში, მტკიცე გადასვლა ინტენსიური ზრდის გზაზე და ამავე დროს მყარი საძირკველი ჩაუყაროს შემდგომ წინსვლას.

ამ კურსის განხორციელება მოითხოვს სახალხო მეურნეობის ძირეულ რეკონსტრუქციას, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. იგი გულისხმობს მატერიალური წარმოების თვისებრივ გარდაქმნებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის კარდინალურ გარდაქმნას, მთელი სამეურნეო მექანიზმის რადიკალურ რეფორმას, ადამიანის ფაქტორის ყოველნაირ გააქტიურებას, ჩვენი გეგმების სოციალური მიმართულების გაძლიერებას.

ესოდენ მასშტაბური და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტის საკროებამ მოითხოვა ახალი მიდგომა ხუთწლიდის შემუშავებისადმი, სიმძიმის ცენტრის გადატანა საზოგადოებრივი წარმოების დიდი ეფექტიანობის მიღწევის კონკრეტული გზების განსაზღვრაზე. არასოდეს წარსულში ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მისი სიღრმისეული რეზერვების ამოქმედების საკითხებს ასეთი გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებიათ ხუთწლედის ფორმირებაში. ყოველგვარი სხვა, ჩვეულებრივი მიდგომა, ნიშნავს ეკონომიკური ცხოვრების წინანდელ კალაპოტში დაბრუნებას და არ მოგვცემს შესაძლებლობას ეკონომიკა გავიყვანოთ სკკპ XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრულ მიჯნებზე.

გეგმის პროექტის თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით გათვალისწინებულია მივალწოთ ძირითად მიმართულებათა დავალებების ზედა დონეს, მრეწველობისა და ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური მაჩვენებლის მიხედვით კი რამდენადმე გადადაჭარბოთ მათ.

გეგმით გათვალისწინებული დავალებანი მთლიანად უზრუნველყოფს ხუთწლედის მთავარი ამოცანის რეალიზაციას, რომლის არსი ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარება და ეფექტიანობის გადიდება, ამ გზაზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებაა. ხუთწლიანი გეგმით დასახული მატერიალური წარმოების მასშტაბი შესაძლებლობას გვაძლევს საბანაკო დონეზე ვიქნნოთ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

დაჩქარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს გეგმის დავალებებს, ვლინდება უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების ამსოლუტური მატების არამარტო ტემპით, არამედ არსებითი გადიდებითაც.

გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო არა მარტო მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანები, არამედ პარტიის გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის საჭიროებაც. ამასთან დაკავშირებით დავადექით კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის დაჩქარების კურსს. ამით დავძლევთ ტემპისა და კაპიტალურ დაბანდებათა ამსოლუტური მატების შემცირების უარყოფით ტენდენციას, რომელიც უკანასკნელ ათწლეულში იყო.

ხუთწლიანი გეგმის ფორმირების, მისი რეალობისა და საიმედოობის გაძლიერების პრინციპული საკითხია ხუთწლედის რიტმის ეკონომიკური დასაბუთება, წლების მიხედვით სახალხო მეურნეობის ზრდის საფეხურების განსაზღვრა, თქვა მომხსენებელმა. ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნები წარსულს შეცდომებიდან, როცა ტემპის ზრდა გადაგვქონდა ხუთწლედის უკანასკნელ წლებზე, და ამით მისი შესრულება მეტად საეჭვო ხდებოდა. ახალ ხუთწლიან გეგმაში ეს ნაკლი დაძლეულია. მასში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი მაჩვენებლის მატების ტემპის თანაბაზრობიერი დაჩქარება.

მეთორმეტე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი მიჯნების მიღწევა ემყარება ეკონომიკური ზრდის ახალ წყაროებს. ახლანდელ პირობებში საყრდენი, გადამწყვეტი ფაქტორებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რეკონსტრუქცია, ხარისხი, ეფექტიანობა. ეს ის საძირკველია, რომელსაც ხუთწლიანი გეგმა ემყარება.

უწინარეს ყოვლისა საგულდაგულოდ დამუშავდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარების ღონისძიებანი. არსი ის იყო, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მსჭვალავდეს მთელ გეგმას, იყოს მისი ორგანული ნაწილი.

ყოველ დარგს დაუწესდა დავალებანი, რომლებიც ახასიათებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების ძირითადი ტენდენციები. ეს სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს ავალებს გამოიჩინონ მეტი დამოუკიდებლობა მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზების არჩევასა და განხორციელებაში.

ამავე დროს, გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უახლოეს ტექნოლოგიური პროცესების ფართო გამოყენებას და გთვალისწინებულია იმ ტექნიკის გამოშვების სწრაფი გადიდების კონკრეტული დავალებანი, რომლებსაც შეუძლიათ გაარეკოლუციურონ წარმოება.

ძირითადი მიმართულებების შესაბამისად დასახულია 1,5-2-ჯერ გავზარდოთ პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ახალ ეკონომიურ სახეობათა მასალების გამოყენება, ერთიორად აუმაღლოთ წარმოების ავტომატიზაციის დონე.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებით მიღებული მთლიანი ეფექტი მეტად მნიშვნელოვანია. მრეწველობაში ამ ფაქტორის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ორი მესამედი. მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება მარტო რესურსების დაზოგვის დარგში ხუთწლეულის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებას შემაკირებს 28,6 მილიარდი მანეთით, მეთორმეტე ხუთწლედში კი მხოლოდ 16,3 მილიარდი მანეთით შემცირდა.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით გათვალისწინებულია ამ პროცესის დაჩქარების დიდი ღონისძიებანი. დასახულია შეიქმნას ახალი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. ვრცელდება ისეთი პროგრესული ფორმა, როგორიცაა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, რომლებიც უნდა უზრუნველყონ იმ მიჯნებზე გასვლა, მსოფლიო მიღწევებს რომ აღემატება მეცნიერებისა და ტექნიკის მაგისტრალური მიმართულებებით.

უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემაა პროდუქციის ტექნიკურ დონესთან და ხარისხთან დაკავშირებული საქმის ვითარების ძირეული გაუმჯობესება. თანამედროვე პირობებში იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანების რიგში დგება. მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური დონის ამაღლება, მათი მწარმოებლობის, რესურსისა და საიმედოობის გადიდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროა.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასულ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებული შეშფოთებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ხარისხის პრობლემის საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა განვახორციელოთ ამ მიმართულებით მთელი მუშაობის გარდაქმნის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების გადამჭრელი ღონისძიებანი. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს კომპლექსურად, როგორც ტექნოლოგიური, ისე ორგანიზაციულ-ტექნიკური ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. და, რა თქმა უნდა, ამ დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქვეყანაში სტანდარტიზაციის სრულყოფას, ტექნიკური კონტროლის მთელი სისტემის გაუმჯობესებას და უწინარეს ყოვლისა მის ახალ ფორმას — სახელმწიფო მიღებას. მაგრამ ცხადია, რომ ხარისხისათვის ბრძოლაში მარტო ეს ღონისძიებანი არ კმარა. საჭიროა ფსიქოლოგიური გარდაქმნა, შრომითს კოლექტივებში ისეთი ზნეობრივი კლიმატის შექმნა, რომელიც ნორმად აქცევს და აღამაღლებს დიდნაყოფიერ ბარისზოვან შრომას. ხუთწლედის დამდეგიდანვე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მდარე ხარისს — მფლანგველობის ამ უცუდეს სახეობას.

გეგმის პროექტში სრულად არის ასახული სახალხო მეურნეობის დარგების მასშტაბური რეკონსტრუქციისათვის გამიზნული სკკპ XXVII ყრილობის პრინციპული კურსი. იგი სიიმდღიდ მტკიცდება მთელი სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკით. მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის ხარჯების წილი საწარმოო შენებლობისათვის განკუთვნილ მთელ კაპიტალდაბანდებებში 1985 წლის 38,5 პროცენტიდან გაიზრდება 50,5 პროცენტამდე 1990 წელს. საინვესტიციო პოლიტიკის ასეთმა არსებითმა შეცვლამ საშუალება მოგვცა მეთორმეტე ხუთწლედში გაგვეთვალისწინებინა ძირეული ძვრები ძირითადი საწარმოო ფონდების თვისებრივ განახლებაში, დაგვეძლია 70-იან წლებში გამოკვეთილი მათი მზარდი ფიზიკური და მორალური დაძველების უაღრესად ნეგატიური ტენდენცია. მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია და თანამიმდევრულად განხორციელდება ძირითადი საწარმოო ფონდების განუხრელი გაახალგაზრდავების ახალი გზა.

და, რა თქმა უნდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მასშტაბური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი მატერიალური გარანტიაა მანქანათმშენებლობა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთწლედების მანძილზე მისი განვითარებისადმი ყურადღება შენელდა. ამის გამო იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ ახალი ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებსაც დრო გვიკარნახებს.

გეგმით გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებებმა, საინვესტიციო და სტრუქტურულ პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა საშუალება მოგვცა ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებით დაგვესაბუთებინა დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ძირეულ გარდატეხას საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის გადიდების საქმეში: მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი თავისებურება, გასული პერიოდისგან მისი განსხვავება ის არის, რომ ეს პროცესი მოიცავს წარმოების ყველა ფაქტორსა და სახალხო-სამეურნეო რესურსს: შრომას, სათბობსა და ნედლეულს, კაპიტალურ დაბანდებებსა და ძირითად ფონდებს.

უწინარეს ყოვლისა, გეგმაში მკვეთრად არის გაზრდილი შრომის ნაყოფიერების, როგორც ეკონომიკის ზრდის მთავარი ფაქტორის როლი. ხუთწლედების ისტორიაში ქვეყნის მასშტაბით მატერიალური წარმოების გადიდება პირველად იქნება უზრუნველყოფილი დამატებითი მუშახელის გამოუყენებლად, ხოლო მისი მთელი მატება დასახულია მოხმარდეს არასაწარმოო სფეროს.

შემდეგ. საგეგმო პრაქტიკაში პრინციპულად ახალი და მნიშვნელოვანი მომენტია სათბობსა და ნედლეულზე სახალხო მეურნეობის დამატებითი მოთხოვნილებების მეტი ნაწილის უზრუნველყოფა რესურსდაზოგვის გზით. გეგმაში მთლიანად დაცულია ყრილობის მითითება, რომ შემცირდეს ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა და ლითონტევადობა. გათვალისწინებულია სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების მნიშვნელოვანი მოძიება.

ასეთია მანქანათსაშენებელი კომპლექსის განვითარების რაოდენობრივი პარამეტრები. მაგრამ ძირითადი ყურადღება გეგმაში ეთმობა ზრდის თვისებრივ მხარეს. ახლანდელი საქმის ვითარება აქ იწვევს საფუძვლიან შიშს. იგი ჩვენ ხელს არ გვაძლევს დღეს და მით უმეტეს ხელს არ მოგვცემს ხვალ. თუ ძირეულად არ გავაუმჯობესეთ მანქანათსაშენებელი წარმოების სტრუქტურა და არ ავამაღლეთ მისი პროდუქციის ტექნიკური დონე, ვერ გადავწყვეტთ ქვეყნის წინაშე მდგომ ვერც ერთ საპროგრამო ამოცანას.

დასახულია ამოცანა, რომ 1990 წელს 80-დან 95 პროცენტამდე ძირითად სახეობათა პროდუქცია შეესაბამებოდეს მსოფლიო დონეს. საბოლოო ანგარიშით კი, არა მარტო ყველგან უნდა მივაღწიოთ ამას, არამედ ბევრი სახეობის ტექნიკის მიხედვით გადავაჭარბოთ კიდეც. ამ ამოცანის გადაწყვეტა კანონი უნდა იყოს მანქანათსაშენებელი საწარმოებისა და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისათვის, რომელთა კოლექტივებს, როგორც მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, უნარი შესწევთ რევოლუციური ძვრები მოახდინონ ამ დარგში.

მანქანათმშენებლობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდება დაკავშირებულია პროგრესული ტექნიკის წარმოების ინტენსიურ ზრდასთან. საქმე ეხება რობოტებსა და დამმუშავებელ ცენტრებს, სპრუტორო-საკონვეიერო ხაზებსა და მოქნილ ავტომატიზებულ სისტემებს, მიკროპროცესორულ საშუალებებს, რომელთა გამოშვება 2-დან 10-ჯერ გაიზრდება.

მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა მოითხოვს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და რეკონსტრუქციის კარდინალურ ღონისძიებებს. ამ მუშაობის მასშტაბი უდიდესია. კაპიტალური დაბანდებანი ამ კომპლექსში განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების სრული შესაბამისობით. ეს კაპიტალური დაბანდებანი შეადგენს 63 მილიარდ მანეთს.

ამავე დროს, პარკის განახლებისათვის მრავალმილიარდიანი სახსრების დაბანდებისას, უნდა უზრუნველვყოთ ტექნიკის მაქსიმალური გამოყენება. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. მრავალი წლის მანძილზე ხომ მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი განუწყვეტლივ კლებულობს. მანქანათმშენებლობის საწარმოთა უმრავლესობა ერთ ცვლად მუშაობს ეს შეუწყნარებელი მფლანგველობაა ეროვნული დოვლათის.

კულტურულ და საბინაო-კომუნალურ მშენებლობას მოხმარდება თითქმის 500 მილიარდი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობაში მთელი კაპიტალური დაბანდების ნახევარი. აქ შეეძლოთ დაგვეძლია სოციალური სფეროს დაგვგმისადმი ერეთ წოდებული „ნაშთური“ მიდგომა. გეგმის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი ფართოდ მოიცავს შემოსავლის გადიდებისა და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის ღონისძიებებით მოსახლეობის პრაქტიკულად ყველა ფენას.

მატერიალური წარმოების განვითარების გეგმის შემუშავებისას, თქვა შემდეგ ნ. ი. რიჟკოვმა, ყოველმხრივ გავითვალისწინეთ საბჭოთა ეკონომიკაში, მისი ცალკეული დარგებისა და რგოლების ინტეგრაციაში მიმდინარე ღრმა ცვლილებანი. იგი სულ უფრო მეტად იძენს მჭიდროდ ურთიერთმოქმედი დიდი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების ახალ სახეს. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა მთავარი ყურადღება მიგვეპყრო ძირითადი სახალხო-სამეურნეო პროპორციებისათვის, უფრო ზუსტად განგვესაზღვრა მომპოვებელი და დამმუშავებელი დარგების თანაფარდობა, უფრო ფართოდ მოგვეცა გეგმით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგთაშორისი პრობლემები, გაგვეძლიერებინა გეგმის დავალებათა მიმართულება, რომ ყველა დარგმა მიაღწიოს მთავარ მიზანს — დაკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი უმცირესი დანახარჯებით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ეყრდნობა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული ბაზის თვისებრივ გარდაქმნას. გეგმის მომზადების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობდა პრინციპული დებულებით, რომ ეს გარდაქმნა მოითხოვს მძიმე მრეწველობის განმტკიცებას, რომელიც იყო, არის და იქნება ჩვენი ეკონომიკური ძლიერების საფუძველი. მისი პროდუქციის მატება გაიზრდება 1,5-ჯერ. ინტენსიფიკაციის კურსმა აქაც განსაზღვრა პრიორიტეტების შეცვლა, და უწინარეს ყოვლისა, მეცადინეობის გადატანა სათბობისა და ნედლეულის მოპოვება-წარმოების გადიდებიდან მათს ყოველმხრივ დაზოგვაზე, გადამამუშავებელი დარგების, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დაჩქარებულ განვითარებაზე. ამის შესაბამისად დაწესებულია დავალებანი მეთორმეტე ხუთწლედში მძიმე მრეწველობის დარგების კომპლექსების მიხედვით.

მძიმე მრეწველობის პროდუქციის მატების ორი მესამედი მოდის მანქანათსაშენებელი კომპლექსის წილად, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის მატერიალური ბაზაა.

ახალ ტექნიკაზე ეკონომიკის საარსებო მოთხოვნილებისა და ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ინტენსიური განახლების საჭიროების საფუძველზე, გეგმით გათვალისწინებულია მანქანათმშენებლობის მატება 43 პროცენტის ოდენობით, რაც 1,7-ჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში.

ასეთია მანქანათსაშენებელი კომპლექსის განვითარების რაოდენობრივი პარამეტრები. მაგრამ ძირითადი ყურადღება გეგმაში ეთმობა ზრდის თვისებრივ მხარეს. ახლანდელი საქმის ვითარება აქ იწვევს საფუძვლიან შიშს. იგი ჩვენ ხელს არ გვაძლევს დღეს და მით უმეტეს ხელს არ მოგვცემს ხვალ. თუ ძირეულად არ გავაუმჯობესეთ მანქანათსაშენებელი წარმოების სტრუქტურა და არ ავამაღლეთ მისი პროდუქციის ტექნიკური დონე, ვერ გადავწყვეტთ ქვეყნის წინაშე მდგომ ვერც ერთ საპროგრამო ამოცანას.

ეკონომიკის განვითარების მზარდი ტემპის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო კომპლექსის დარგების ზუსტ და შეთანხმებულ მუშაობას. დადგენილია, რომ 17 პროცენტით გადიდდეს ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადატანის მოცულობა. გეგმაში დასახულია უფრო რაციონალური ტვირთნაკადები მისი ცალკეული სახეების მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია ეფექტიანობის ზრდაზე, ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გამტარუნარიანობის გადიდებას, სათბობის მომჭირნეობას.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გამოყო რკინიგზის, სხვა სახეობის ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესების პრობლემა.

